

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი (სპეციალიზაცია–საჯარო სამართალში, სისხლის სამართალში)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის მაგისტრი ა) საჯარო სამართალში, ბ) სისხლის სამართალში
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	120 კრედიტი, აქედან 90 კრედიტი სავალდებულო, ხოლო 30 კრედიტი არჩევითი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სამართლებრივი ღირებულებების ფორმირების, იდენტიფიცირების და ანალიზის განხორციელების საშუალებების სწავლება; საჯარო ან სისხლის სამართლის ზოგადი და დარგობრივი პრინციპების, ინსტიტუტების, კატეგორიებისა და საკანონმდებლო ბაზის ღრმა და სისტემური დაუფლება; სამართლებრივი ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდების სწავლება; სამართლებრივ ურთიერთობათა ფსიქოლოგიური ასპექტების სწავლება; საჯარო და სისხლისსამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირებისა და კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარების განვითარება.
სწავლის შედეგები	კურსდამთავრებულს ექნება საჯარო ან სისხლის სამართლის ძირითადი ცნებების, ინსტიტუტების, კონცეპტუალური მიდგომების, მექანიზმების ღრმა და სისტემური ცოდნა, ეცოდინება, აგრეთვე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პრინციპები, თეორიები და სისტემები, რაც საშუალებას მისცემს ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში გააცნობიეროს ცალკეული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის გზები და შეიმუშაოს ახალი, ორიგინალური იდეები; კურსდამთავრებული შეძლებს მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებას და კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტისათვის ახალი, ორიგინალური გზების მოძიებას, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციას ქართულ და უცხოურ ენებზე; კურსდამთავრებული შეძლებს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სამართალშემოქმედების პროცესში ახალი, ორიგინალური გზების ძიებას, სამართლებრივი აქტების, დებულებებისა და სხვა დოკუმენტაციის შემუშავებას, სამეცნიერო პრობლემის დასმას და კვლევას; საჯარო ან სისხლის სამართლის მიმართულებებისათვის დამახასიათებელი პრობლემების კომპლექსური შეფასებას და სტრატეგიული, მომავალზე ორიენტირებული ფაქტორების გათვალისწინებით მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავებას; ინოვაციური სინთეზის მეშვეობით სამართლებრივი ინფორმაციის კომპლექსური დამუშავებას, ანალიზს და დასკვნის გაკეთებას;
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი სტუდენტი “ჩაიჭრა” შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.
საკონტაქტო პირი	ომარ მახარაძე, პროფესორი, ტელ: 599 29 55 00 e-mail: <a href="mailto:omar.makharadze@bsu.edu.ge">omar.makharadze@bsu.edu.ge</a> ომარ ფარტენაძე, ასოცირებული პროფესორი ტელ: 577 17 91 08 e-mail: <a href="mailto:omar.phartenadze@bsu.edu.ge">omar.phartenadze@bsu.edu.ge</a>